



გაზეთის ფასი

თვე	ფასი	თვე	ფასი
თებერვლის წლისა	7 მან.	მაისი	6 მან.
ნახევრის წლისა	4 —	ივნისი	3 — 50 კ.
სამის თვისა	2 — 50 კ.	ივლისი	2 —
მარტის თვისა	1 —	აგვისტოს	75 კ.
საღამო ერთის ნომრისა	—	სექტემბრის	15 კ.

„დროება“ გამოდის ყოველ კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

საკონსტიტუციო და სალიბერალური გაზეთი.

წელიწადი მთავრდება.

გ. მ. ა. ა. 1872 წელს

„დროება“

გამოვა თვის ძველებური პროგრამისა შეუცვლელად.

გ. მ. ა. ა. წელიწადი მთავრდება „დროებას“ ფასი, ზოგილი მანეთის გაზიარება, მასში მანეთი იმდება.

პირველ იანვრამდე „დროებას“ ხელის-მოწერა მიიღება ისევე თვითნებურად, როგორც „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კ. მ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლში, და ქუთაისში — გერასიმე ქალაქის დარბაზში (სახელიერო სასწავლებელი).

თვითნებურად და ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა, პირველ იანვრამდე, გაზეთი „დროება“ შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ: В Тифлисе. В контору редакции грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографии Меликова и К-о.

ხელ-მოწერის ფასი:

თვე	ფასი	თვე	ფასი
მარტის წლისა	5 მან.	მაისი	6 მან.
ნახევრის წლისა	2 — 50 კ.	ივნისი	3 —
სამის თვისა	1 — 50 კ.	ივლისი	75 კ.
მარტის თვისა	—	აგვისტოს	60 კ.

ზარზანდელ ხელის მოწერას, რომელთაც გაზეთის ფასი ჯერაც არ შემოუბრუნებიათ, უმოკრისად ვთხოვთ, რას შეიძლება მალე გამოგვადონ.

შინაარსი

„დროებას“ გამოცემა 1872 წელს — მირზოევის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა თვითნებურად, სკარტელო: ნაგლეჯ-ნაგლეჯი ამბები ბოროტად, — წიგნი რედაქტორთან, — წერილი აბები. — რუსეთი: წერილი ამბები. — უცხო ქვეყნები: — საფრანგეთი, — ბერძნული, — მ. დახლოება ავსტრიის საქმეები? როსსელის, ძეგრესა და ბურჟუას დახვეწა. — შინაშენი. — ქრისტიანობა განცხადება.

მირზოევის მიტკლის საქსოვი ფაბრიკა თვითნებურად

ზოგიერთ ჩვენ მკითხველებს, უყვარია, გაგონილი ექნებათ, რომ ამ ნახევრის წლის წინათ თვითნებურად მიტკლის (ამერიკის, ნიუ-იორკი) საქსოვი ფაბრიკა, რომელიც ჩვენ გამოჩენილ მდიდარს, უფ. მ. მ. მირზოევს, ეკუთვნის, საზოგადო, როგორც მოგვსენებათ, ჩვენს მხარეში ფაბრიკები და ქარხნები ძალიან იშვიათად მოიპოვება, და მიტკლის საქსოვი ფაბრიკა დღემდე სულაც არ გვექნა, თუმცა იმაში ძალიან ვსაქირობდით; ამიტომაც ჩვენი ხალხი მომეტებულ ნაწილათ ინგლისში მოქსოვილ მიტკალს ხმარობდა, სადაც ბაზა სამხრეთი ამერიკიდან მოაქვთ. შევედით, ასე შორიდან მოტანილი საქონელი ჩვენ ხალხს იფთხ არ დაუჯდებოდა. თუმცა ჩვენში, განსაკუთრებით იმერეთში, ბაზა ძლიერ კარგი მოდის, რომელიც აღმოჩნდა 1863-1864 წლებში, როდესაც, ამერიკის ომიანობის გამო, იქიდან ვერ გამოქცნდით ბაზა და ამიტომ იძულებულნი იყვნენ აქედან წავლეთ ის; მაგრამ, საუბედურო, ჩვენ მხოლოდ იმდენი ბაზა მოგვყავს, რამდენიც შინაურულ მოსახლარსად არის საჭირო. ამაში ჩვენ, როგორც ხშირად ბევრში, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზები გვაქვს. მართალია,

ერთი რომ ჩვენ იმდენი შეძლება არ გვაქვს, რომ ბევრი ბაზა მოვიყვანოთ; მეორე, აგრეთვე ამ უფულობის გამო, ვერც საქსოვ ფაბრიკებს გავხსნიდით; მესამე, კიდევ რომ მოგვეყვანა ბაზა, გზები არა გვექნა და ახლაც ნაკლებათა გვაქვს, რომ ბაზა საზღვარ გარეთ გავგვტანა. მართი სიტუაცია, ამ შემთხვევაშია ისეთისავე მოსახრებით შეგვიძლიან თავი გაეიმართლოთ, როგორც ყოველთვის: ბუნებრივი სიუხვე და სიმდიდრე ბევრი გვაქვს, მაგრამ, თუ უცოდინრობისა და თუ ღონისძიების უქონლობის გამო, ამ სიმდიდრით სარგებლობა ვერ მოგვიხერხდება.

მიტკალი ისეთი რამ საქონელია, რომელსაც მთელი ხალხი და ყოველი ადამიანი ხმარობს; ამისთან საყოველთაო საჭირო საქონლის გაიფება, რასაკვირველია, დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს. ამიტომაც სასიამოვნოა უფ. მირზოევისაგან ამ მიტკლის ფაბრიკის გამართვა. ამ ფაბრიკას, უყვარია, დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ღარიბი ხალხისათვის, თუ იმის პატრონი თავდარიდინათ და პატიოსნათ წაუძლვა საქმეს. რადგანაც ჩვენში ბაზა უფრო იაფად მოიპოვება, მუშებიცა და ორთქლის მაშინისთვის შეშა თუ ქვის — ნახშირი, ამიტომ, უყვარია, თვით მიტკლის წარმოება უფრო იაფად დაჯდება. ამას გარდა ალრც გზის ქირა იქნება საჭირო. შეეცა ამ მიზეზების გამო, უფ. მირზოევის მიტკალი, რასაკვირველია, ინგლისიდან მოტანილ მიტკალზე უფრო იაფად უნდა ღირდეს. მაგრამ, როგორც ჩვენ გავიგონეთ, ეს სულ ასე არ არის ამბობენ, რომ მირზოევის მიტკალი არშინი მხოლოდ ერთი თუ ორი კაპეიკით უფრო იაფად ღირს, ვიდრე ინგლისელი.

შეეცა ამავს გარდა მირზოევის ფაბრიკას კიდევ ის მნიშვნელობა ექნება, რომ რამოდენსამე ასს კაცს საქმეს გაუჩნდეს და თან ხელობასაც ასწავლის. ფაბრიკას გარდა ამისა თვითონ მუშების გონების გახსნაზედაც დიდი გავლენა ექნება: ვინ არ იცის, რომ ქერაში ფაბრიკისა და ქარხნების მუშები ყო-

ველთვის უფრო დაწინაურებულნი არიან ქუთაისის გახსნით, ვიდრე სოფლის ხალხი?

ჩვენ გესურდა შეგვეტყო, როგორ მიდის ამ ფაბრიკაში მუშაობა, ვინ ან რამდენი არიან მუშები, როგორ ქსოვენ მიტკალს, ერთი სიტუაცია, ცნობის-მოყვარობის დასაკმაყოფილებლათ, გვინდოდა დაგვეხედა უფ. მირზოევის ფაბრიკა. მაგრამ ძალიან გავიკვირდა, რომ როცა მივედით და გამოგვხვდა ფაბრიკის დახედვის ნების-ღართვა ესთხრეთ, მტკიცე უარი გვითხრა.

გვითხრეს, რომ მაყურებელნი უშლიან მუშებს და ამიტომ არაფის არ უშეგნენ შიგ ფაბრიკაში. შევეტყეთ მხოლოდ, რომ გზებზე მინაჩის თითქმის ერთი მილიონი მანეთი დახარჯვია ამ ფაბრიკაზე და დღემდე 450 კაცი და კალი მუშაობს (რომლებიდანაც ზოგიერთები ინგლისიდან არიან დაბრუნებულნი); კიდევ შევეტყეთ, რომ ფაბრიკა ჯერ-ჯერობით იმდენ სარგებლობას არ აძლევს მის პატრონს, რამდენსაც იმედი ჰქონდა. მეტი ეჭრად ვერ შევეტყეთ, არაფერი არ გვითხრეს.

ზასაკვირველია, რომ ჩვენში ყველაფერს რაღაც თავის, განსაკუთრებული ბეჭედი დავსმის ხოლმე: ქერაში ფაბრიკისა და ქარხნების პატრონები თვითონ მოიწყვევენ ხოლმე, თვითონვე იხეწებიან — მოდი, ჩემი ქარხანა ანუ ფაბრიკა და ჩემი მუშაობა ნახეთო, საქვეწრთ აცხადებენ გაზეთებში და ქუჩრნალებში თავიანთი საქმის მდგომარეობას, თავიანთი ნაწარმოების ფასს და სხ. მართალია, ზოგიერთ ფაბრიკებზე ყოველ დღე არ უშეგნენ გარეშე პირებს, რადგანც ისინი უშლიან მუშაობას, მაგრამ ამისთანა ფაბრიკებში კვირაში ერთი დღე არის დანიშნული, როდესაც ყველა მსურველს შეუძლია მოვიდეს და დახედოს ყველაფერი ფაბრიკაში და ქარხანაში. ეს თვითონ ფაბრიკანტისათვის არის სასარგებლო, რადგან რაც უფრო მეტი ხალხი გაიგებს იმის ფაბრიკის არსებობას და მუშაობას, ისე უფრო მომეტებული მუშტრებიც ეყოლება.

ჩვენში კი სრულიად უკუაღმა ვსმისთ ეს ანგარიში: ხშირად ისეთს საქმეს ჩამოაფარებენ საიდუმლოების ფარდას, რომელიც გამოაშკარებით ერთი-ათად უფრო მოიგებდა და წინ წაიწვდა.

საქართველო

ნაგლეჯ-ნაგლეჯი ამბები გორიდან.

(„დროებას“ კორესპონდენცია)

საკვირველია ხალხია ეს გორელები! ამათი გულმხიარულობა, უდარდებლობა და დროების გატარება ძრიელ მაოცებს. მონი აქაურები რომ ერთად შეგსწრონ სალაპარაკოთ, იმათი პირველი ბასი იმაზედ იქნება — თუ როგორ გაიშრება ერთმა ქალაქის თამაშობაში, მეორემ — ღვინის სმაში. ტუთის არ

ხელის-მოწერა მიიღება: გერმანიის

თვითნებურად „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კ. მ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ნ. ამატუნის სახლში, და ქუთაისში — გერასიმე ქალაქის დარბაზში (სახელიერო სასწავლებელი).

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეაშოკებს, გამოგზავნის სტატიას და ისე დაბეჭდს გაზეთში.

მოგახსენებთ, რომ აქ ქალაქში თამაშობა საქებარი საქება და დიდის პატივისცემით იხსენებან სახელები აქაური განთქმული „ქალაქის მოთამაშეებისა“. მიქენ ამას არ დაჯერებთ, მაგრამ მე იმასაც გეტყვით, რომ ეს სახელები, თუ საუკუნოთ არა, დიდხანს მანც დარჩებიან აქაურების სახსოვრათ. „ქალაქის მოთამაშეების“ წრეს ბლომათ წევრნი ყავს და ამათი ბურთი და მოედანი ეხლა არის მზათ, — ამ ზამთრის დიდ ღამეებში. მს საზოგადოება ბინდიდან დაწყობილი ღამის თორმეტ საათამდინ „ცხრაში“ და „ასონასში“ თამაშობით ატარებს დროებას. მაშ რა უნდა გავკეთოთ ამ გრძელთა გაჭიმულ ღამეებში? ქალაქში თამაშობა სასარგებლო საქება, აქაურების აზრით; გონებას უხსნის კაცს, მეტადრე თუ „პრეფერანსი“ არის; პროფერანსში თამაშობა აქ ძრიელ პატივცემულია და ამამი მოთამაშეები ამაყთ უტყვიან იმათ, რომელთაც მარტო „ცხრაში“ და „ასონასში“ უყვართ თამაშობა.

ქარტში თამაშობას აქ დიდი დროება მიაქვს; მაგრამ გორელებზედ ვილა ჩივის; უბედურობა ის არის, რომ ზოგადან ეს ჩიულება იფინება ზემო-მართლში და ზოგადან ადგილებში ძრიელად არის გავრცელებული. ბოროლი „ქარტოტნიკები“ სიხარულით მოელიან ხოლმე სოფლებიდან ფულებით ჯიბე დატენილ თავიდაშვილებს, თუქა ამათში ისეფებიც იპოვიან, რომ ბევრხანს ფულების უქონლობით არ შეუძლიანთ სამ-მანეთიანი ხუთ-მანეთიანდგან გააჩიონ, რადგან ორთავენი ლურჯი ფერისანი არიან. ამათ პურის დაქვეა და ნისიობა უყვართ!...

ახლა ისიც მოსმინეთ — რანაირი შეხედულობისანი არიან აქაური მანდილოსანნი დედები ყმაწვილ ქალების ყოფაცევაზედ. დედების საკებარი საქება, რომ ამათი ქალები ძრიელ მოკრთალებით არიან და „რუსული ჩვეულობა“ არ უყვართ, ე. ი. ეაქებთან მისვლა-მოსვლა და ლაპარაკი სძულთ და, თუ უცხო არის ვინმე, კარზედ გასვლასაც არ გაბედევენ. ამ მანდილოსნების აზრით, სინამდინ ახალგაზდა ქალი არ გათხოვდება, არცერთმა ვაჟკაცმა არ უნდა იცოდეს — არსებობს ის ქვეყანაზედ, თუ არა. რომელი დედაც კი თავისუფლობას მისცემს თავის გასათხოვარ ქალს და „მაგრათ თავს არ დაუტყრს“, იმას სხეებისაგან საყვედურათ გაუხდება საქე და თითოთი საჩვენებელი გახდება.

— მაშ, ლამაზი ქატო ცუდათ იქცევა, გვითხე მე ერთ მანდილოსან ქალს, რომ არ ემოჩილება თქვენს აზრებს და თავის ყუყუნა და ცეცხლით სასე თეალებს დასატერებს ჭოლმე გამეღვოს და გამოვღვოსა? — ღაბ! მიპასუხა მოწინააღმდეგე იმნარი ხმით, თითქო უნდა ეჩვენებინა, რომ სირცხვილია ჩემისთანა ახალგაზდისთვის ამ ქვეშაირების უცოდინრობა.

— არა, დედა, უბედურება ჩვენ შინაურ ცხოვრებაში, სხვათა შორის, იმისაგან წარმოსდგება, რომ ჩვენმა ახალგაზდა ქალებმა

და კაცებმა არ იციან ერთი მეორის აზრები, ხასიათი, მიმართულება, ჩვეულება და ბოლოს კი ერთ „ბედნიერ“ საღამოს უნდა შევკავებოდნენ, ერთ ზოგად და ერთ სისხლად შეიკმნენ. ამ ერთი მეორის უცოდინრობისაგან წარმოსდგება ის სამწუხარო მოვლინება, რომ ცოლქმრობაში ერთს იქით გაუშვია ცხვირი, მეორეს აქეთ, — ის ჩხუბი და დაფი-დარება, რომლებშიც დახელოვნებულნი და გათქმულნი ვართ ქართველები.

— არა, შეიღო! წამოიძახა ჩემთან მოლაპარაკებ. მე, რასაც შენ ამბობ, ბედისაგან არის...

— ჩემო დედა! კიდევ ისა გვლუბავს ჩვენა, რომ ბედი გვწამს და ყოველსავე გულდამწველს და შეუვებელ ამბავს, რომელიც მართლ ჩვენი უცოდინრობისაგან და წინდაუხედაობისაგან წარმოსდგება, იმითი გაქარვებით, რომ ასე სურდა ბედს და იღბალს...

X

მოუთმენელათ მოვლიან აქაურები განკარგულების მოხდენას პოლიკის დაყენებაზედ ზოგადი. როგორც შევითქვ, წინათაც მდგარა აქ პოლიკი და არ ვიცი რა მიზეზის გამო წასულა ის აქედან. ახლა ყველას კარგი იმედი ეძლევა აქ ჯაროს დადგომით. ამბობენ, ვითამც ზოგი ძრიელ განათლებად და გალამაზდებდა ყოველის მხრით... ის აზრი, რომ აქაურები პოლიკისაგან მოვლიან ცხოვრების გაუმჯობესებას, ცხადთ გვიჩვენებს, რომ გოგონებს იქამდინ თვით-მოქმედება არ მოუხმარებიათ, რომ თვითონვე შეეძლოთ ცხოვრების გაუმჯობესება. მაგრამ ზოგს აქაურებს განათლება სულ სხვა ნაირად ესმის...

ბაშუსისთვის ბევრი ტარების აშენება ხომ განათლება არის! ბევრი არყისა და ღვინოს სმაც ხომ განათლება! კაცებისაგან გაუწერებელი ქალაქის თამაშობა და ქალებისაგან ლოტოსი ხომ აგრეთვე პირველი წინანია საფუძვლიანი განათლებისა! მაშ რაღა გეიშავს...

ზოგის სტუმარი.

ზოგი. 2 ღვეწმურა.

ჩვენ მოგვიყვია შემდეგი წიგნი, რომელსაც აქვე გეპქდათ:

რედ.

უფ. ჩამდამბროს!

ჩემის საქმისათვის მომიხდა მე დღეს, საათის პირველზე, გავლა მირზოევის საქონლარი მაშინისკენ, რომლის გვერდზედაც იჯდა ერთი სოფელი გლეხი-კაცი და სტიროდა ცხარის ცრემლით; ამ გლეხს გარეშემა ხალხი ეხვეოდა. მეც მივიღიე ახლო და დაუწყე ყურება, რომ რა არის გამეგო, თუ რა ამბავი მომხდარიყო აქ. აქეთ-იქიდან ზოგი იტინის თავით იმ გლეხ-კაცზედ: რათა სტირი, განა ყმაწვილი ხარო. ზოგი ეუბნებოდა: არა უშავს რა, დღეს წაგე, ხედავ შეიგებო. მართის სიტყვით, იმა ხალხის ყბედობიდან ან დაცინვას გაიგონებდა კაცი, ან შებრალებას. გლეხ-კაცთან მივიდა ერთი ვაჭარი კაცი, გამოემცნაურა, და ჰკითხა, რა არის მიზეზი შენი ტირილისაო?

— რაღა რა არის, შენი ტირიმი ჩემო ნათლია, უთხრა გლეხმა სომეხს, ნეტავი ფეხი მამტებოდა და ძალაქი არ მენახა. ის ქალი რომ მყავს უფროსი, იმას ვათხოვებ, სამი თუმანი ფული ავიღე ვალთ და აქ წამოველ მზითვის სასყიდელათ. გამოვიარე აქა, აი აქა, სადაც მე ესლა ვზივარ, იჯდა ერთი მთვრალი თათარი, რომელსაც ბლომთა ჰქონდა ასოგნაციები უბეში და თანაც სამი სათამაშო ქალაქი ეჭირა ხელში, ორი შავი და ერთი წითელი. იმ სამ ქალაქიდან ერთს ერთ ხელში დაიჭირა და ორს მეორეში დაგვიჩვენებდა; გადაყრიდა-გადმოყრიდა ხოლმე მიწაზედ იმ ქალაქებს და გვეტყოდა: აბა წი-

თელს ვინ იპოვებსო? და ერთს მანეთს სდებდა. მოვიდა ერთი პატარა ბიჭი და იმანაც ერთი მანეთი დადო იმის მანეთთანა, დაელო ხელი სათამაშო ქალაქებსა და აიღო წითელი სათამაშო ქალაქი და თაყვის მანეთი და თათრის მანეთიც მოიგო; მაიგო ხელათ ერთი მანეთი. მიდევ აიღო ხელში ის ქალაქები, ათამაშა და თქვა: ვინ ითამაშებსო? მივიდა ახლა მეორე პატარა ბიჭი იმასთან და იმანაც დადო ერთი მანეთი თათრის მანეთთან. ამ თათარმა კიდევ გადაყარა-გადმოყარა ეს ქალაქები და უთხრა მეორე პატარა ბიჭს: აიღე ქალაქი! აიღო ქალაქი ამ პატარა ბიჭმა და გამოდგა წითელი და მაიგო ერთი მანეთი. დაინახე თუ არა ესა, შენი ტირიმი მეთქი, ვითქვ, ეს თათარი მთვრალია უთუოდ და იმისთვის აგებს ფილებს, მოდი მეც დაეცე რასმე და იქნება ღმერთმა მიშველოს, მეც მოვიგო რამე მეთქი; ჩავიყვავი ჯიბეში ხელი და ამოვიღე ერთი თუმანი. აი, უთხარი მე თათარსა, მოდი, მე და შენ ვითამაშოთ; ამიღო იმანაც ერთი თუმანი და დაედევით, გადაურთო-გადმოურთო ეს სათამაშო ქალაქები ამ თათარსა და მითხრა: აიღო! აიღო ერთი სათამაშო ქალაქი და შავი გამოდგა; მე კი იმ აზრით ავიღე, რომ წითელი იქნება მეთქი. აიღო თათარმა ჩემი თუმანიც და თუმანიც. მე გამოვბრუნდი დაღონებული, ვფიქრობ, რა საქმე ექნე მეთქი, სიხარში ხომ არა ვარ მეთქი. ამეგების ფიქრში რომ ვარ, მომეხვია აქეთ-იქით ხალხი და დამიწყეს ლაპარაკი: „არ შეარჩინო მაგ თათარს, მთვრალია, თავს ნუ დაანებებ, შენი თუმანი ისევე წამოიღე, ბევრი ითამაშე და მოუგებო!“ მეც ამოვიღე და ორი თუმანი დავდე; მეგონა, ესლა კი მოვიგებდი და ჩემს თუმანსაც გამოვითქვდი და ერთ თუმანსაც იმას მოუგებდი, ამიღო თათარმაც ორი თუმანი, გადაურთო და გადმოურთო ქალაქები და მითხრა: აიღო! აიღო. გამოდგა ისევე შავი ქალაქი... აიღო ამ თათარმა კიდევ ორი თუმანი; მე კი დავრჩი გაშვებული როგორც მენ-დაცემული. პირი-დარიცხა ხალხი, დამიწყეს მე აქეთ-იქით ლაპარაკი; გავიხედე, გამოვიხედე და თათარი აღარსად იყო; გაქრა, გაქრა თათარიცა და ჩემი სამი თუმანიცა. მსლა რაღა წყალს მივეცე, როგორღა მიუვიდე ჩემ სახლობასა შინ? თავი ჩამოასხრიხობი არა მაქვს! რას მირჩევ, შენი ტირიმი, ჩემო ნათლია!

საზოგადოდ სულ ყველა და განსაკუთრებით ეს უკანასკნელი სიტყვები იმისთანა დაღონებით და მწუხარების ხმით წარმოსთქვა გლეხმა, რომ კაცს გული მოუკედებოდა; მეგონა, ან ეს ვაჭარი, რომ ნაცნობი ყოფილა, თავის ფულს როგორმე დაუბრუნებდა, ან იმისთანა მადლიანი ვინმე ერევა ამდენ ხალხში, რომ სამადლოთ ან თავთ აჩუქებდა და ან სხვისგან შეუკრებავს ამ დაკარგულს ფულს, მაგრამ ამისთანა არაფერი არა მომხდარა რა.

— შენ ჰკვიანი კაცი ხარ, და როგორ მოგხდომია, რომ მაგთენი ფულები ერთათ წაგიგია, უთხრა ნაცნობმა სომეხმა.

— რას მიხმანებ, შენი ტირიმი, უთხრა გლეხმა, ჩემ დღეში ფულზედ არ მითამაშნია, ერთი შაურინი ნატალია (ლატარია) რა არის, იმაზედაც არ მითამაშნია, ჩემ დღეში ერთი კაპეიკი არ დამიკარგავს. მსლა კი, ესლა მხედვე, რა ცეცხლია ჩემ თავსა; ამისთანა ოინი გავიგონიათ, ან გინახავთ, თქვენი ტირიმი, თქვენს სიცოცხლესო! და გადმოყარა საწყალმა გლეხმა ცხარე ცრემლები.

— მამაგისთანა საქმეები, ჩემო მლახე, უთხრა ვაჭარმა, ხშირათ მოხდება ხოლმე აქა. შენისთანა გამოუტყდელს კაცს რომ ჩივდებენ ესენი ხელში, ჩოხასაც გახდიან, არამც თუ ფულს სულ მოუგებენ. მე ბევრჯერ მინახამს, რომ გლეხს ურმით შეშა ჩამოეტანოს, შეშის ფასიც წაეგოს ამ თამაშობაში

და ხარებიც ზედ მიუყოლებია; ისიც მინახავს, რომ ცუდიც წაეგოს გლეხსაც ამ თამაშობაში. არ იცი, რომ შენისთანა კაცი ამ თამაშობაში ევრას მოიგებს? შენ რომ სთქვი, ორმა პატარა ბიჭმა ორი მანეთი მოიგო, იმათ, ჩემო ძმაო, არაფერი არ მოუგიათ: ის ბიჭები თათრის ამხანაგები არიან და ისინიც, რომლებიც გეუბნებოდნენ: ეთამაშე, ისევე გამოიტან შენ ფულსაო!

ბოლოს ვაჭარმა უთხრა გლეხს, რომ, თუ კარგ სარგებელს მისცემ, მე გიშოვნი სასესხებელს სამ თუმანსაო და იქნება მეც გიშოვნო; ეტყობა, ამ ვაჭარს გული სთქვია ამ გლეხისათვის...

— მაშ რასა ვიქ, თუ არ მიეცემ სარგებელს, უთხრა გლეხმა, მიშოვნე სადმე, შენი ტირიმი, ფულები და დავწეროთ თამაშუქი. სთქვეს თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე მოშორდნენ ამ ხალხს ეს გლეხი და ვაჭარი. მე კი ისევე ამ საზოგადოებაში დავრჩი, რომელიც ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ეს კარგო რაგუ-ლი გავაბით ბაღშიო.“

სოტა ხანს უკან წავიდ-წამოვიდა ეს კეთილი საზოგადოება *) და ღარჩა ორი ხანში შესული კაცი, რომლებიც განცვიფრებით უყურებდნენ ერთმანეთს; ბოლოს ერთი მიუბრუნდა მეორეს და უთხრა: — რასა შერებთან, თქვენი ტირიმი? მაგიგონათ ამისთანა საქმე ყოველ დღე თითქმის შუადღის ღრას ეგრე შერებთან და საწყალ გლეხ-კაცს კუდამდინ ტყავს აძრობენ! რატომ არ დაუშალო, უთხარი მე, რომ გლეხს აქ ათამაშებდნენ? — მის შეუძლიან, რომ დაუშალოს ვისმე აქა, მაშინვე მიხვდებიან ეს ხალხი, რომლებიც თათრის ახვევია და აქეთ-იქიდან ცემას დაუწყებენ სულ ყველანი და ვის და რომელს დაუჭერ ხელს და უჩივლებ. ბოლოს მე უთხარი: პოლიცია არ უშლის ამ თათარს ამ ნაირ თამაშობას!

მასაკვირველი არის, რომ ამ ქუჩებზედ, რომელსაც ეძახიან აბანოს ქუჩებს, და რასახლებულია უმეტეს ნაწილათ ჭუჭყიანი აზიის სპარსელებით, ხშირათ სხვა საქმეებიც ხდება თურმე, რომელიც ყოველთვის დაშვება მიუწოდებოდა და დაფარულად მჭკრეტელის თავისთვისა. ამიტომ თუ უნდა იყოს სადმე სფრთხილე, უეჭველად ამ თათრების ქუჩაში. ისიც არ ვიცი დასაჯერია თუ არა, რომ ყოველ დღე შუადღის ღრასაო, თამაშობენ ეს თათრებიო. რამდენათაც ვიცი, არამც თუ ამ ნაირი, არამედ ყველა ნაირი თამაშობა ფულზედ და ნამეტნავათ ქუჩებზედ, დაშლილია მმართველობისაგან; რამდენჯერმე კვლავაც იყო ამ თათრების თამაშობაზედ გამოცხადებული. არ ვიცი, აქამდინ როგორ სუფევს ეს უსწავლეო ხალხისა და უმეტესად გლეხების მომაცულებელი თამაშობა, რომლის მოტყუებაც, მეგონა, ძალიან ადვილი იყო ყოველ შემთხვევაში. ჩემის აზრით, ეს ფაქტი არის ყურადღების ღირსი.

ალ. ლეკაშოვი.

ჩვენ გაგიგონეთ, რომ ქართული სცენის მოყვარულები ამ ზამთარში რამდენიმე წარმოდგენის გამართვას აპირებენ. წარმოდგენებს გარდა, როგორც ამბობენ, ქართული სალიტერატურო და სამუსიკო საღამოებიც იქნება. ღმერთმა ინებოს, რომ ამ წარმოდგენებსა და საღამოებს უკეთესი ბედი ღრუბულთატი ექნეს, ვიდრემ წარმოდგენულ წარმოდგენებსა ჰქონდა. . .

* *

*) საზოგადოებად ვფიქრობ ამ ხალხს ჰეშმარიტად ამ სიტყვის მნიშვნელობაზე. ამ საზოგადოებას, როგორც ვაფიქროვ, ოცდა ათი წევრი მაინც ეკუთვნის, რომლის იმედიც აქვს მოთამაშე თათარს, თუ საქმე ძალზედ მივრდა. შიშისათვის თავის ფაქტორს საზოგადოება არ აკლავს საშინაოს, რომლის გულისთვისაც, რასაკვირველია, არ არის წავებში.

„თერგის უწყებებში“ სწერენ, რომ ჩვენ-ბი და ყარაბულახები, რომლებიც 1865 წელს გადასახლდნენ ოსმალეთში, ახლაც ცხოვრობენ ერთ ბრუნდებთან უკანაო. ისინი ისეთ შესაბრალოს მდგომარეობაში არიან თურმე, რომ მთავრობას ეძნელება იმათ უკან დაბრუნება. თერგის მაზრის მთავრობა იქ ურ აულებში ასახლებს უკან დაბრუნებულ ლეკებსა, მაგრამ თან და თან იმდონი მოდიან თურმე, რომ მალე აულებში აღარ დაეტევიან და მაშინ სხვა რამე ღონე უნდა მოუპოვოს ამ საწყლებს. ამბობენ, მთავრობას ჰსურსო, შიხლიარის მაზრაში მისცეს იმათ დაუჭერელი ალაგები; მაგრამ ეს ალაგები ახლა სრულიად უწყლოა თურმე და იქ დასახლება შეუძლებელი იქნება. ამიტომაც, ამ გაზეთისავე სიტყვით, თერგის მაზრის უფროსს განუზრახავს თერგის მარცხენა მხარეზე არხების გაყვანა, მინდერებში, რომ ამით მიწა უფრო მომცემი და ნოყიერი შეიქნეს. ეს არხები იმას გარდა, რომ თერგის მარცხენა მხარეს გაანოყიერებს, კიდევ იმ სარგებლობას მოიტანს, რომ აღარც მარჯვენა მხარეზე გადიდის წყალი და იქაური მცხოვრებლები წყლის მომატებისაგან დასულნი იქნებიან. ამბობენ, რომ საეკსპიის უმაღლესს მთავრობას ეს უკანასკნელი პროექტი თანაგრძნობით მიუღია და აქაური ტენიკური საზოგადოების ორ წევრს (სტებნიცკისა და პალიბინს) გამოუცხადებიათ სურვილი, რომ ჩვენ გამოვიცვლოთ იმ ადგილებს და შევრტყობთ — შეიძლება იქ არხების გაყვანა, თუ არა, ან რა დაჯდებაო.

* *

რუსეთი

ზოგიერთს უცხო ქვეყნების გაზეთებში სწერდნენ ამას წინათ და ახლაც სწერენ, ვითომც რუსეთი თავის ჯარს აიძარებდეს და საომრათ ემზადებოდეს. არაფერს არ სწერდნენ არც იმაზე, თუ ვისთან და რისთვის ემზადება რუსეთი საომრათა. ეს ხმები, რასაკვირველია, უსაფუძვლო ხმებია. ამის თაობაზე აი რას სწერენ ერთს ნემეცურს გაზეთში: „ამბობენ, ვითომც რუსეთი ჯარს აშხადებდეს და თავის სამხედროებსა და სიმარგებს ამარგებდეს. ეს სრულებით უსაფუძვლო ხმები იქიდან წარმოსდგა, რომ რუსეთის მმართველობამ ამ უკანასკნელ დროს პოლიტიკური განკარგულება მოახდინა და ჟანდარმები დააყენა პეტროვის სამხედროზე, იმისთვის რომ პოლმელები, რომელთაც პარიჟის პომუნაში მიიღეს მონაწილეობა და გამოიქცნენ, რუსეთში არ შემოპარულიყვნენ.“

* *

როგორც წინანდელ „დროების“ ნომერშიაც იყო მოხსენებული, ოდესის უნივერსიტეტი ნოვოზოლის 11-ს გაუხსნიათ. იმ ნომერშივე იყო ნათქვამი, რომ უნივერსიტეტიდან ოთხი სტუდენტი დაითხოვეს არეულობისათვის; მაგრამ შემდეგ მოგვიყვია ამბავი, რომ დათხოვნილი სტუდენტების რიცხვი ამაზედ მომეტებული არისო. იწერებია, ვითომც თექვსმეტი მეოთხე კურსის სტუდენტები კიდევ დაითხოვესო.

ოდესის გაზეთებშიაც დაბეჭდეს ახლაო, იწერება ერთი რუსული გაზეთის კორესპონდენტი, რომ იქაური უნივერსიტეტი გაიხსნა; დღემდე კი უნივერსიტეტის დაკეტაზე და ლექციების მოსპობაზე ერთი სიტყვაც არ იყო ოდესის გაზეთებში ნათქვამი. ამ ნაირი ოდესის ბეჭდვის მდგომარეობა.

* *

შანანდამ იწერებია ერთს რუსულს გაზეთში, რომ, იმ უთანხმოების გამო, რომელიც იქაური უნივერსიტეტის პროფესორებს შუა მომხდარა, შეიღს პროფესორს ბუნების საგნების ფაკულტეტისას სამასხურისთვის თავი დაუწევიათ და უნივერსიტეტიდან გამო-სულან.

რუსულ გაზეთებს ეს ამბავი ძლიერ სამწუხაროთ მიაჩნიათ; ისინი ამბობენ: ჩვენ უნივერსიტეტებს უიმისოდ ბევრი პროფესორები აკლიათ და ენც არიან, ისინიც ხშირად, სხვა და სხვა გარეშე გარემოების გამო, იძულებულნი არიან სამსახურს თავი დაანებონ...

რუსის ინვალიდთა მოვლას ზოგიერთი რიცხვები, რომელიც გვიჩვენებს—თუ რამდენს რუსის სალდათს დარიგებული აქვს ახალი სისტემის თაფები. რუსის ჯარში სამგვარი თაფებია შემოღებული: ძარღვის სისტემისა, ძრკისა და ბერდანისა; სულყველა ესენი მსწრაფლ-მსრალელი თაფები არის, მინუტში 8—12 ვარდებია. ბასულს ნომერამდ 213,930 ძარღვის სისტემის თაფი ყოფილა დარიგებული და 950,200 ძრკის სისტემისა. ამას გარდა რამდენიმე ათი ათასი თაფი ამ წლის დამლევამდე უნდა დამზადდეს და დაურიგდეს; ასე რომ მომავალი წლის 1 იანვარს ერთ მილიონზე მეტი ახალი სისტემის თაფი მზათ იქნება. მითქმის ყველა რუსეთის სალდათები ახლა ამ თაფებით არიან დაიარაღებულნი. ძაცასის სამხედრო მაზრაში ზოგან ძარღვის სისტემის თაფებია დარიგებული და ზოგან ისევ ძველი თაფები აქვთ. ამას გარდა ამ მოკლე ხანს ამერიკელამ 30,000 ბერდანის სისტემის თაფს მოელონ და აგრეთვე ინგლისიდანაც; დანარჩენი, რაც დასჭირდება, რუსეთის სათაფე ქარხნებშია შეკეთილი.

ს. პეტერბურლის უნივერსიტეტში წელს—400 ახალი სტუდენტი შესულა, მედიკო-ხირურგიის აკადემიაში—308, ლენინო ინსტიტუტში—200 და ტენოლოგიურ ინსტიტუტში—1000 ყმაწვილ კაცს შეუტანია მიღების თხოვნა.

პეტერბურლის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ამ წამათ—961 სტუდენტი, ბუნებითი საგნების ფაკულტეტზე—321, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე—109, ილმოსაფეთის ფაკულტეტზე სულ—35 სტუდენტი, ასე რომ საშუალო რიცხვით თითო პროფესორს ორ-ორი სტუდენტი ერგება.

მოსკოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე წელს 50 სტუდენტი შესულა, ფილოლოგიურზე—12 და მედიცინის ფაკულტეტზე—150 სტუდენტი.

თუმც ყველაზე უფრო მომეტებული შემწეობა (სტიპენდიები) პეტერბურლის და სხვა უნივერსიტეტებში ფილოლოგიისა და აღმოსავლეთი ფაკულტეტის სტუდენტებს ეძლევათ, მაგრამ, როგორც ენახეთ, ამ ორ ფაკულტეტზე ყველაზე უფრო ნაკლები სტუდენტები არიან. შევლაზე ბევრი იურიდიულ ფაკულტეტზე არიან. ამის მიზეზი ის არის, რომ ახალი სამოსამართლო რეფორმების შემდეგ, სამსახური კარგი სალუქმა-პურო საქმე შეიქნა, მერე ყველაზე უფრო ბევრი სტუდენტები ბუნებითი საგნების ფაკულტეტში შედიან.

1861 წელს ს. პეტერბურლის უნივერსიტეტში 1,400 სტუდენტი იყო. არეულობის შემდეგ სტუდენტების რიცხვი თან და თან კლებულობდა, ასე რომ 1864 წელს სულ 466 კაცი სწავლობდა ლექციებს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამ რიცხვმა თან და თან იმატა და წელს პეტერბურლის უნივერსიტეტში—1476 სტუდენტი.

ს. პეტერბურლის უნივერსიტეტზე წელიწადში 340,000 მანეთი იხარჯება.

მეორე დღეს ქრების პრეზიდენტი უნდა ამოვირჩიათ და შემდეგ ტიერი წაიკითხადა თავის ეპისტოლეს, რომელშიაც გამოხატული იქნებოდა ახლანდელი საფრანგეთის მდგომარეობა და იმ ცვლილების შემოღება, რომელიც მმართველობას გაზრახვაში აქვს.

წინათვე სწერდნენ გაზეთებში, რომ ამ დღეს მმართველობას არეულობის ძალიან ეშინოდა და ამიტომ პოლიცია დამზადებული არისო. ამბობენ, რომ 4 დეკემბერს პარიჟის ხალხი მოსთხოვეს მმართველობასა, რომ რეზიდენცია მერსალიდამ ისევ პარიჟს გადმოიტანონო. საზოგადოთ ფრანკუზები მართლაც ახლა ძალიან ახირებულ მდგომარეობაში არიან: დღეს ასე არიან დახვალ კი რა მოვლით იმათ, არ იციან: ზოგს რესპუბლიკის დამკვიდრების ეშინიან, ზოგს მონარქიის დინასტიისა და ზოგი ნაპოლეონს მოეწონის. ამიტომ მომავალ ნაციონალური ქრების სხდომებს და იმის მოქმედებას, რასაკვირველია, ყველანი დიდს შიშითა და გულისძვრით მოელონ. ზოგიერთ გაზეთებს ახლაც შეუტყვიათ ტიერის ეპისტოლეს შინაარსი; ამბობენ, რომ ტიერი ამ ეპისტოლეში არც მმართველობის ფორმის თაობაზე და არც საზოგადოთ ახალი კონსტიტუციის დაწესებაზე სიტყვას არ იტყვისო. ის მოითხოვსო მხოლოდ, რომ რეზიდენცია ისევ პარიჟში გადმოიტანონ ნაციონალურმა ქრებამო. მართს გაზეთში თვით ის ადგილია მოყვანილი ეპისტოლედან, სადაც ტიერი ამას თხოულობს, მაგრამ სრულიად სხენაირათ; აი ეს ადგილი: „ნაციონალურმა ქრებამო ყოველ წელიწადს უნდა ამოირჩიოს ალავი თავის სხდომებისთვის. წელს იმის სხდომები პარიჟში იქნება. მოველი კრება ხალხისა კანონმდებელი სახლის გარეშე, ნახევარ ვერსზე, აღკრძალულია.“

ფრანკუზულ გაზეთებში დაბეჭდილია მონარქიის ეპისტოლასი, დიუპანლუს, „წიგნი ბამბეტასთან“, რომლიდანაც სჩანს, რომ იმის დაშვების სრულებით არ მოსწონება ბამბეტას აზრი საფრანგეთის და საზოგადოთ კათოლიკეების მაღალ სამღვდლოებაზე. მანსაკუთრებით უმკაცროდ დარჩენილა დიუპანლუ იმ აზრზე, რომელიც სან-ქენტენში წარმოსთქვა ბამბეტამ, რომ ახალ-გაზდობის აღზდაში საფრანგეთის სამღვდლოებას ყოველი გაეღწა და ზედ-მოქმედება უნდა ჩამოერთვასო. ის ამბობს, რომ „საფრანგეთის ხალხი მხოლოდ მაშინ შეიქნება კეთილ-ზნობიან და რესპუბლიკის მიმდევარ ხალხათ, როდესაც ყველა შკოლები სამღვდლოების ხელში იქნება!“

შეტესი ნაწილი პარიჟიდან გაქცეული კომუნის მომხრეებისა ამჟამად ლონდონში ცხოვრობენ. ისინი სცემენ იქ ფრანკუზულ გაზეთს, სახელათ „Qui Vive“, რომელშიაც საშინელ სიძულვილსა და მტრობას უცხადებენ ტიერის მმართველობას და საფრანგეთის ბურჟუაზიას (კაპიტალისტებს). ამ გაზეთის ერთი ნომერი აი როგორი სიტყვებით მიმართავს ბურჟუაზიას:

„იცოდეთ, რომ ჩვენ გულში მხოლოდ ერთი აზრი გვაქვს: შფრის-გება ჩვენი დამარცხებისათვის. იცოდეთ, რომ, ადრე იქნებათუ გვიან, თქვენზე ძლიერნი შეიქნებიან და მაშინ საშინლად და სამაგალითოდ გადაგხდით. მაშინ არ დაგზავთ იმათ, რომელთაც 1848 წელს ივლისში დახოცეს ხალხი და არც 1871 წლის, მაისის, მკვლელებსა. თავებს გააყრევ ნებთ, თუნდა ეს თავები ჭაღარა თმით გქონდეთ შემოსილი. თქვენ შეიღებთ და ცოლებს სიკვდილი მოკლეს, არცერთს არ გაუშვებთ ცოცხალს, იქნება თქვენი დაწვევლილი გვარი სრულიად და სამუდამოდ მოიხსნას. ბურჟუაზიის წევრო, ჩვენ მოგთხოვთ თქვენ ანგარიშსა.“

ამას წინათ ორი შესანიშნავი განჩინება დასდევს პარიჟის მსაჯულებმა: ომიანობის დროს ერთი ფრანკუზის სალდათი მიჰპაროდა უკანდამ ერთ პრუსიელ სალდათს და მოეკლა.

ის იმწავესე დაიჭირეს და ახლა გაასამართლეს. სასამართლოში ბრალდებულმა სთქვა, რომ იმ ნემცეტთან მე არავითარი განსაკუთრებითი მტრობა არა მქონიაო, მხოლოდ, რადგანც ნემცი იყო, იმიტომ მძულდა და მოეკალიო. მს ბრალდებული მსაჯულებმა სრულიად გამართლეს. მეორე ფრანკუზი სასტიკად დასაჯეს იმისთვის, რომ ნემცებისთვის ესწავლა ჩემ ალას ამა და ამ ადგილას აქვს რალაც ნივით დამალულიო. შემოსენებული მაგალითისთანა შემთხვევა ჩამდონჯერმე მოხდა საფრანგეთში: მსაჯულები არ სჯიან იმ პირებს, რომელთაც, ომიანობის გარეშე, ჩაიბეზიანი მიაყენეს ნემცებსა. ამგვარ მდგომარეობაშია მართალს ისე გაუცხარებია ბერმანის მმართველობა, რომ, როგორც გაზეთებიდან ვცუბილობთ, იმ დეპარტამენტებში, სადაც ნემცების ჯარები დგანან, იმათ თავის წესი და სამართალი გაუჩნიათ.

ბერმანია

დეკემბრის 1-ს ყოფილა უკანასკნელი სხდომა ბერმანიის რეისტალისა. ამ სხდომაზე ულაპარაკნათ იმაზე—თუ რამდენი ჯარი უნდა ჰყავდეს ბერმანიას და რამდენს უნდა ხარჯადეს ის წელიწადში ჯარისათვის. მართს ოპპოზიციის დეპუტატს, ზონენმანს, დიდი უმკაცროდება განუცხადებია და მკვახე სიტყვებით გაურჩევია ეს პროექტი, რომელიც ჯარის თაობაზე მმართველობამ შეიტანა რეისტალში დასამტკიცებლათ. მე ეთხოვლობ, სთქვა ამ დეპუტატმა, რომ სალდათს სამსახურის ვადა შეუმოკლონ. მოველი მხრით ისმის ჩივილი, რომ მიწას და ქარხნებს მუშა ხალხი აკლია და თქვენ კი რამდენიმე წლით ჰკრებთ სალდათებს. მოველი მხრით ისმის ხალხისაგან ჩივილი, რომ ბევრი ხარჯი გავწესო და თქვენ კი სამხედრო გასაფასს უმატებთ. მმართველობა ისეთ ამბავშია, თითქო ომიანობას მოელოდეს. ჩვენმა მმართველობამ მტერზედ გამარჯვება და პროვინციების დაპყრობა იცის, მაგრამ თავის ხალხის მმართება და ბერმანიის შიშიდობიანობისა და თავისუფლების დამკვიდრება კი სრულებით არ იცის.“

რამ დახლართა ამსტრისის სამხედრო?

(ისტორიული მიმოხილვა)

I

რა არის ამსტრია? რა არის ამსტრისის მონარხია? როდესაც თქვენ გკითხვენ—რა არის საფრანგეთი, ინგლისი, მსპანია, ბერმანია, საბერძნეთი და სხ., არ გაგიჭირდებათ პასუხის მიცემა და პირ და პირ იტყვიან, რომ მაგალითად საფრანგეთი არის მხარე ანუ სახელმწიფო, რომელშიაც ფრანკუზები ცხოვრობენ, რომელსაც თავის საკუთარი ენა, ხასიათი აქვს და საზოგადოთ განირჩევა სხვა მეროპის ხალხებიდან. ამისივე თქმა შეგიძლიანთ თქვენ ინგლისზე, იტალიაზე, საბერძნეთზე და სხვა ქვეყნებზე. მაგრამ ამსტრიაზე კი არ შეგიძლიათ ესე სთქვათ; ამიტომ რომ ნაცია, რომელსაც ამსტრიელები ეწოდებოდეს, ქვეყანაზე არ არსობს. ამსტრისის სახელმწიფოა ნაირ-ნაირი ხალხებისაგანა შემდგარი, რომელნიც სრულებით სხვა და სხვა ენებზე ლაპირაკობენ და სხვა და სხვა სარწმუნოებას აღიარებენ. ამ თავის ხალხების სიჭრელით ამსტრია მსმალეთსა და შევიცარისა ჰგავს.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ის პირველი საფუძველი, რომელზედაც თითქმის ყველა მეროპის სახელმწიფოები დამყარებულნი არიან—ე. ი. ნაციონალიზმა ანუ ხალხისნობა—ამსტრიას არა აქვს.

*) ამსტრიაში 17 სხვა და სხვა ნაციის ხალხი სცხოვრებს, რომლიდანაც ზოგნი კათოლიკე სარწმუნოებას აღიარებენ, ზოგნი ლუთარანისა, ზოგნი მართლმადიდებლნი არიან, ზოგნი კათოლიკე-სომხები და ზოგნი კიდევ ებრაელები.

II

თუ გვინდა ამისთანა სახელმწიფოება გავიგოთ, ჩვენ უთუთოთ უნდა მივმართოთ, იმ დროებას, როდესაც მეროპაში მძლავრი თათრები შემოვიდნენ. მს იყო ოთხასი წლის წინათ. მეროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბერძნებით, სლავიანებით, ნემცებით, ევნგრიელებით და სხ. ხალხებით იყო დასახლებული; თვითვეული ამ ხალხისა იმ დროს ცალკე, თავის საკუთარს სახელმწიფოს შეადგენდა. მათგანმა დაიპყრეს მთელი ბიზანტიის იმპერია და ამ წყრილ სახელმწიფოებს მიუახლოვდნენ, რომელთათ აგრეთვე დაპყრობას ემუქრებოდნენ. ცალკე, თითო-თითოთ, ამ სუსტ ხალხებს თათრების წინ დგომა, რასაკვირველია, არ შეეძლოთ. აი ეს საზოგადო მტერის წინააღმდეგობა და თავის დაცვის სურვილი იყო ამ სუსტი სახელმწიფოებისა შეერთების და შეკავშირების მიზეზი. აქედან წარმოსდგა აესტრიის სახელმწიფო: უფრო სუსტი მეზობლები მიეკედლენ იმას რომ ამნაირათ უფრო ადვილათ დაეცვათ თავი თათრებისგან. აესტრიის საგერცოგო მაშინ მართა ნემცებისაგან იყო დასახლებული.

იმ დროს ნემცები პატარა-პატარა სახელმწიფოებს შეადგენდნენ. მითთვეულს ამისთანა პატარა სახელმწიფოს თავის საკუთარი მმართველობა და ხელმწიფე ყვანდა. მართ ამ ხელმწიფეთაგანს საზოგადო ბერმანიის იმპერატორად ირჩევდნენ. მათგანს შემოსვლის დროს ბერმანიის იმპერატორად რამდენიმეჯერ აესტრიის გერცოგი იყო ამოირჩეული. ამ ნაირათ აესტრიის მპყრობელნი იმავე დროს ბერმანიის იმპერატორებათაც იყვნენ და ამ ძლიერ კაცთან შეკავშირება წყრილი სახელმწიფოებისათვის, რასაკვირველია, საიმედო და სასარგებლო საქმე იქნებოდა.

აი ნამდვილი მიზეზი ამსტრიის ხალხების სიჭრელისა და იმ უპირატესობისა, რომელიც ამ ხალხებში, დღემდე, ნემცებსა ჰქონდათ.

ახლა რას ვხედავთ ჩვენ? მანა არის კიდევ ის პირობები, რომელთაც აესტრიის ხალხები ამ სახელმწიფოსთან მიაკავშირებს? ახლაც ხომ თავს დაცემას არ ემუქრებიან თათრები ამსტრიის წყრილ ხალხებსა? მინ არის ახლა ბერმანიის იმპერატორი?

მსმალეთი დასუსტდა, ისეთ ნაირათ დასუსტდა, რომ იძულებული შეიქნა ზოგიერთ თავის ქვემევრდომ ხალხებისთვის თავისუფლება მიენიჭებია. ამსტრიის ხელმწიფე ბერმანიის იმპერატორი აღარ არის; ეს ტიტული შემდეგ დროებში სულაც მოსპობილი იყო, მხოლოდ წელს დაისაკუთრა ის პრუსიის კოროლმა. მოისპოა შიში, რომელიც დღემდე ამსტრიის წყრილ ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებდა; ამსტრიის ნემცებს აღარა აქვთ ის ძალა, რომელიც ადრე ჰქონდათ. მაშა სადა? მე ამ ხალხების ამსტრიისაგან დამოკიდებულებაც უნდა მოიხსნას. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ამ უკანასკნელი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში ამსტრიისაგან დამოკიდებული ხალხების სურვილი და მეცადინეობა იმაში მდგომარეობს, რომ მოშორდნენ ამსტრიას და თვითარსებობა და თავისუფლება მოიპოვონ. მს მოსაზრება უნდა გვექონდეს ჩვენ მუდამ მხედველობაში, როდესაც ამსტრიის ახლანდელ დახლართულს საქმეებზე დავიწყებთ სჯას.

III

მთელი გადავადლოთ იმ წარსულ დროებას, როდესაც მეროპამ გაიგო საშუალო საუკუნოების ცხოვრების წყობილობისა და აზრების სიყალბე და სცდილობდა იმათგან განთავისუფლებას. მს საქმე ჯერ სიტყვით და ბეჭდვის საშუალობით დაიწყო; წიგნმა გააგებინა მაშინდელ ხალხებს თავიანთი ცხოვრების ნაკლებად და მისცა ღონისძიება უკეთესი ცხოვრების მოპოებისა. წარსული საუკუნის დამლევს სიტყვა საქმედ გადაიქცა: საფრანგეთის დიდი რევოლუცია წარმოადგინა

გენს საშუალო საუკუნოებისა და ახალი დრო-
ების ბრძოლას. აჯანყებულმა ხალხმა ახალი
დროების მიმდევარმა, მოკლა 1793 წელს საშუ-
ალო საუკუნოების წარმომადგენელი საფრანგე-
თის კოროლი, ლუდოვიკი მეოთხესვეტი. საფ-
რანგეთი თავის ცხოვრების შეცვლას არ დაკმა-
ყოფილდა: იმას უნდოდა თავის მეზობლებიც
განეთავისუფლებინა ძველი ცხოვრების წყო-
ბილობისაგან. ამ ხალხის აღტაცებით ისარგე-
ზო პირველმა ნაპოლეონმა, რომელმაც თი-
თქმის მთელი მეროპა დაიპყრო. 1812 წელს
ფრანკლები შემოიჭვივნენ რუსეთს, მაგრამ
აქ იმათ საქმე წაადგა. ფრანკლების და-
მარცხების შემდეგ, სამმა მეროპის უძლიერეს-
მა სახელმწიფომ (რუსეთმა, ავსტრიამ და პრუ-
სიამ) შეკრეს „შინა და პანო“, რომელსაც
ახალი დროებისა და რევოლუციის ტალღი-
სათვის უნდა ეწინააღმდეგებინა...

მეროპაში ისევ ძველი წყობილობა დამკვი-
დრდა. მეტეტრინის წყალობით, ავსტრიაში
ისეთი დრო დადგა, როდესაც ხალხს არაფერს
არა ჰქონდადენ: ყველაფერი მმართველობა-
ზე იყო დამოკიდებული: თითქმის ყოველი
ნაბიჯი ავსტრიის ქვეშევრდომების კანონები-
თა და წესდებულებებით იყო განსაზღვრული;
მღვდლების გაღელვა ისევ გაძლიერდა: იმათ
ხელში იყო ხალხის აღზრდა და შკოლები.
ხალხის წარმომადგენლებს არავითარი მნიშე-
ნელობა აღარ ჰქონდათ, იმათ არაფერს არა
ჰქონდადენ. მართი სიტყვით, „ავსტრია, რო-
გორც ბერნე ამბობს, მეროპის ჩინეთათ შე-
იქნა.“

IV

შემოთ ვთქვი, რომ ავსტრიის ხალხებს
ახლა არაფერი აღარ აკავშირებს ერთმანეთ-
თან და ამიტომ თვითოეული იმათგანი ავსტ-
რიის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლე-
ბას და თვითარსებობის მოპოვებას სცდილობს.
ავსტრიის მმართველობამ კარგათ იცოდა, რომ
ასე მოხდებოდა, და ამიტომ მეტეტრინმა ავ-
სტრიის მონარხის ერთობის დასაცველათ
ერთ საშუალებას მიმართა: ეს საშუალება იმა-
ში მდგომარეობდა, რომ სცდილობდა ავსტ-
რიის სხვა და სხვა ხალხები დემოკრატია ერთ-
მანერით, რომ იმათ შორის, სიძულვილის
მეტე, არავითარი ერთობა და კავშირი არ ყო-
ფილიყო. ავსტრიის იმპერატორმა ფრანც I-მა
პირდაპირ წარმოასთქვა ეს აზრი: „ჩემი ხალ-
ხები ვერ იცნობენ ერთმანეთს, ესეც უკმაყოფი-
როსა და იმეფ დროს, თანხმობით ისინი ვე-
რაფერს ვერ გააკეთებენ. როდესაც საფრან-
გეთში რამე ატყდება, მთელი ხალხი, რო-
გორც ერთი კაცი, ისე ადგება ხალხმ. ჩემ
ხალხებს კი ერთმანეთის არა ესმისთ რა, იმათ
სიძულთ ერთმანეთი; მაგრამ ამ ურთიერთის
სიძულვილისაგან გამოსდის საზოგადო მშვი-
დობიანობა და წესიერება.“ ამ ნაირათ მონარ-
ხის სიმთელის დასაცველათ, ავსტრიის მმარ-
თებლობა შურსა და უთანხმოებას სთესდა თა-
ვის ხალხებში.

მაგრამ ამ ნაირმა პოლიტიკამ ვერ შეაჩერა
ავსტრიის ხალხებში თვითარსებობის სიყე-
რულის გავრცელება. რაც უფრო მომეტეუ-
ლათ ავიწროვდა ავსტრიის მმართველობა
თავის ხალხებს და არ უსრულებდა იმათ მო-
თხოვნილებას, ისე ამ ხალხებში უფრო გრ-
ცელდებოდა უკმაყოფილება და თვითარსე-
ბობის სურვილი.

დადგა 1848 წელიწადი. საფრანგეთში მოხ-
და მებერგლის რევოლუცია. როგორც ყო-
ველთვის, საფრანგეთის რევოლუციის ახლაც
სხვა ქვეყნებზედაც ჰქონდა გავლენა და ამით
შორის ავსტრიაშიც დაიძრა ხალხი: მართში
მენას ხალხის არეულობა მოხდა. მენგრე-
ლებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით, გამოაც-
ხადეს, რომ დღეის შემდეგ ავსტრიის ხელმ-
წიფეს აღარ ემორჩილებითო და თავის საკუ-
თარი მმართველობა გაიჩინეს. მაგრამ მენის

არეულობა მმართველობის ჯარებმა ძალიდ და-
აწყნარეს; დარჩნენ აჯანყებული ევგრეილე-
ბი, რომელთაც ავსტრიის ჯარები მიაღდა.
მან იცის—როგორ გათავდებოდა საქმე, რუ-
სეთი რომ არ მოხმარებოდა ავსტრიის და არ
დამეშვიდებინა მენგრა...

V

მენგრისა, ბოჰემიისა და სლავიური მი-
წების გარდა, ავსტრიას, 1815 წლის კონგრე-
სის გადაწყვეტილებით, ჩრდილოეთი იტალი-
აც ეკუთვნოდა, როგორც ავსტრიის სხვა და
სხვა ტომის ხალხებს ავსტრიასთან კავშირის
გაწყვეტა და თვითარსებობა უნდოდათ, აგ-
რეთვე იტალიის ნაგლეჯ-ნაგლეჯათ განაწი-
ლებულ პროვინციებს შეერთდებოდა და ერთი
ხალხის შედგენა მსურდათ. 1848 წ. იტალია-
შიაც იყო რევოლუცია ამ სურვილის აღსა-
სრულებლათ; მაგრამ ამ რევოლუციას არც
იქ ჰქონია კითილი დასასრული: რომის პაპმა,
სარდინიის, ნეაპოლის და სიცილიის კორო-
ლებმა ყველამ დაამშვიდა თავის ქვეყნები.
აგრეთვე ავსტრიაშიც დააწყნარა ჩრდილოე-
თი იტალია.

შემდეგ იტალიის საქმეებში ნაპოლეონი
მესამე გავრია: 1859 წელს ატყდა ომი, რო-
მელშიაც საფრანგეთმა და იტალიამ სარჭერი-
ნოსთან დამარცხეს ავსტრია. დამარცხებული
ავსტრია იძულებული იყო ჩრდილოეთ იტა-
ლიის ნახევრისგან (ლომბარდიისაგან) ხელი
აეღო.

ამ დროიდან იწყება ავსტრიის სისუსტე
და იმის საქმეები შიგნით და გარეთ თან და
თან უფრო იზარბება. მენგრეილებს ახლა
მოეცათ თავის სურვილს აღსრულების იმედი.
ბოლოს თითონ ავსტრიის მმართველობამაც
გაიგო, რომ, თუ თავის ხალხების ზოგიერთ
მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებდა, იმას
შეგნით მოსვენება არ ექნებოდა და გარეთ
მეროპის სახელმწიფოებისაგან პატივი მოა-
ტლებოდა. ამის გამო ავსტრია სცდილობდა
როგორმე მორიგებულიყო თავის ხალხებთან.
ამ ხალხებში ყველაზე უძლიერესი მენგრეი-
ლები იყვნენ. ამათ პირდაპირ გამოაცხადეს,
რომ ჩვენ გვსურს სრული თვით-
არსებობა მოვიპოვოთ და ჩვენ ი-
ს აკეთებთ მმართველობა გვყავ-
დესო; ავსტრიისა და ჩვენ მხო-
ლოთ ხელმწიფე უნდა შეგვადე-
რებდესო და ამის გამო ავსტრი-
ის იმპერატორი მენგრის გვირ-
გვინითაც უნდა დაგვირგვინდე-
სო. მაგრამ ავსტრიას ამაზე დათანხმება არ
შეეძლო. 1861 წელს მმართველობამ გამოს-
ცა ახალი კონსტიტუცია, რომელშიაც ხალ-
ხების მოთხოვნილების დამაკმაყოფილებად არა-
ფერი არ იყო ნათქვამი. ამ კონსტიტუციის
მხარე მხოლოდ ნემცებმა დაიჭირეს, დანარ-
ჩენი ხალხები კი იმის წინააღმდეგნი იყვნენ.
სანამ ამ კონსტიტუციაზე სჯა იყო, ავსტრი-
ისა და პრუსიის შუა ომისაგან ატყდა (1864 წ.),
რომელიც ავსტრიის დამარცხებით დასრულდა.
ამ ბრძოლის შედეგი იყო ერთის მხრით:
ავსტრიის გამოარცხვა ბერძნის სახელმწი-
ფებისაგან და მენეციის ჩამოართმევა და მე-
ორეს მხრით თვითონ ავსტრიის შიგნით და-
სუსტება, ახლა უფრო სჭირდა ავსტრიის
მმართველობას თავის ქვეშევრდომებთან მო-
რგებება და კეთილი განწყობილების გაჩენა.
ამ საქმისთვის ავსტრიის იმპერატორმა ადრენ-
დელი საქსონიის მინისტრი, გრაფი ბენსტი,
მოიხმო.

(დასასრული შემდეგში) 3. ი.

როსელინა, ჭიჭიხა და ბურჰუას
დახმარება

მს სამი პირი, რომელთაც პარიჟის კომუ-
ნაში მონაწილეობას აბრალდებდნენ, ნოემბრის
28-ს დახვრიტეს პარიჟში. როსელის თაობაზე

თიერსა და მსაჯულებს ყოველი მხრიდან მო-
დოდათ თხოვნა, რომ ნუ დაჯიჯით მაგათ
სიკვდილითა; ათასი პირისაგან ხელმოწერი-
ლი თხოვნა და რამოდენიმე დეპუტატი მიუ-
ვიდა თიერს და სთხოვდნენ, რომ რადე ნე
როსელი ძლიერ პატიოსანი, ნიჭიერი და მა-
მულის მოყვარე იხალგაზდა არისო და თეი-
თონ გატყდა, რომ კომუნაში მირთალია
მოვიღე მონაწილეობა, მაგრამ კეთილი გან-
ზრახვა მქონდა, — ამიტომ პატივით იმას მა-
ინცაო. სხვათა შორის ერთი იქაური უმაღ-
ლესი სასწავლებლის სტუდენტები იყვნენ
აგრეთვე ამას წინათ თიერთან ამის სათხო-
ვნით: მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. თიერი
ამბობდა — ეს ჩემი საქმე არ არისო, მსაჯუ-
ლების კამისიაზე ყველაფერი დამოკიდებუ-
ლია. ამისთა თავის მხრით ამბობდა, რო-
სელს რომ ეგზავნათ, სხვანაც მოინდომებენ
დასჯისაგან განთავისუფლებასო და ამით
სამხედრო წესი და დისციპლინა შეირყვიაო,
(რადგან როსელი სამხედრო სამსახურში მსა-
ხურებოდა მართი სიტყვით, არავითარმა სა-
ბუთებმა და თხოვნამ არ უშველა როსელს:
კამისიამ გადაწყვიტა, რომ ხოვმბრის 28-ს
როსელი, ჭიჭიხა და გოთი სალდათი ბურ-
ჰუა არათად უნდა დახვრიტონო.

შრანკულ გაზეთში დაწერილობით არის
აწერილი ამათი დახვრეტის გულ მოსაკლავი
ამბავი.

შეგლანი ადრევე გრძნობდნენ თურმე,
რომ იმათი ბედი გადაწყვეტილია, რომ იმათ
დღეს თუ ხვალ დახვრეტა მოელოს. ნოემბრის
28-ს, დილის 5 საათზე, როსელის ადგილაც-
მა, ჭიჭიხა, გადო იმის ოთახის კარები სა-
ყრობილში და შევიდა. როსელს ეძინა. ჭი-
ჭიხა ორჯერ დაუძახა იმას, სანამ გამოიღვი-
ძებდა. ბოლოს როსელმა გამოახილა თვალები
და სთქვა:

— თქვენ ხართ! მაშ დღეს რაღა?
— ღიხ, ჩემო მეგობარო, უთხრა ადგი-
ლამა.

— რა გეწყობა, უნდა ჩემ ბედს დაეგმო-
რიყო. ამ დროს შიშოვდა საყრობილს
ზედახედელი. როსელი მიუბრუნდა იმას და
უთხრა:

— თუ შეიძლება, ერთ მიწუტას მარტო
დამტოვეთ. მაგრამ ზედამხედველმა უთხრა,
რომ ტანისამოსის ჩაცმის დრო არისო. რო-
სელმა ხმა აღარ ამოიღო და ჩაცმა დაიწყო.

თითქმის იმ დროსვე, გამოაღვიძეს ჭიჭიხა
როსელის საყრობილის მეორე ოთახში იყო
დამწყვედელი. ის უცრათ წამოხტა ლოგინ-
ნიდან და გულ-გრძელად დაიწყო ჩაცმა. ბურ-
ჰუა რომ გამოაღვიძეს და უთხრეს უნდა მო-
ეზადა საიქიოსთვისაო, თითქო აინუშაიდა
არ ჩაიგდო და სიგრა მოითხოვა.

მქვს საათზე საყრობილს წინ დაიწყო-
ნე სალდათები. პოლიციის ჩინოვნიკები ჰუნ-
ტუნდნენ მსურებლებს, რომელნიც მრავალ-
ნი შეიკრიბნენ. სოტა ხანს შემდეგ საყრო-
ბილს ალაყაფის კარები გაიღო და შიგნით
კარგა შევიდა, რომელიც დამაშავეებისთვის
იყო დანიშნული. შეიღო საათი იქნებოდა,
როდესაც როსელი, ჭიჭიხა და ბურჰუა ჩას-
ვეს კარებებში და წაიყვანეს სატარიის ბა-
ნაკე დასახვრეტათ, სადაც დილიდამე აუ-
რებელი ჯარები იყო დაყენებული. სატარი-
ის ბანაკზე შორიდან სამი სიციტი მოჩანდა.
ბრალდებულები ჩამოსვეს კარებებიდან და
თითოეული იმათგანი თითო სიციტთან დააყე-
ნეს. შეგლან მღვდლები უფდა გვერდში, რო-
სელი მარცხნივ სვეტთან დააყენეს; იმის წინ
თორმეტი სალდათი დგას, გატენილი თოფე-
ბით; ბურჰუა შუა სვეტთან დააყენეს და
ჭიჭიხა მარჯვნივ. ამისთვის სიკრეტარმა წა-
იკთხა მსაჯულების გადაწყვეტილება. როსელ-
მა ითხოვა, მე ვეცევი სალდათებს მესრო-
ლონო; მაგრამ ნება არ მისცეს. შემდეგ რო-
სელმა ითხოვა, ნება მომეცით ერთ ჩემ მე-
გობარს გამოვეთხოვო, რომელიც აქვე დგა-
სო მაგრამ არც ამის ნება მისცეს. „მაშ მე
მზათა ვარო!“ სთქვა როსელმა. იმას აუხვიეს
თავლები, გადასროლა პალტო და ქუდი.
მართა უბრძანა სალდათებს, ესროლიყო.
მართი მიწუტის შემდეგ თორმეტი თოფი ერ-
თად გაფარდა და როსელი პირდაპირ დაეცა
ძირს. ამ ნაირათვე დახვრიტეს ჭიჭიხა და
ბურჰუა, მაგრამ ისინი როსელისავე უეც-
რათ არ მომკვდარან და სალდათებმა რიგო-
ვრით მოათავეს ჭიჭიხა თვალის ახვევის
ნება არ მისცა სალდათებს; ისე ესროლეს
თოფები.

როსელისა და ჭიჭიხის მშობლებმა ითხო-
ვეს ამათი გვამები ჩვენ მოგვეცითო და მმარ-
თებლობამ ბერის თხოვნისა და მეცდინე-
ბის შემდეგ ღუთშია იმათ დახვრეტლი
გვამები.

შეალა ფრანკული და უცხო ქვეყნების
გაზეთები დიდ უკმაყოფილებას გამოთხადებენ
განსაკუთრებით როსელის, ჭიჭიხის და ბურჰუას.

შენიშვნა

(შუამდგომი უფ. მიხეილს)

ამ მიმავალ წლის გაზეთის „დროების“
მე 35. №-ში სიღნაღის სამღვდლოებაზე და-
იბეჭდა ძალიან საფუძელიანი სამღვრავი ბლა-
ლოჩინების ზოგიერთი. ქვე-
ვაზე — კორესპონდენცია მიხეილისა, და აქ
სხვათა შორის არის წარმოთქმული შენი-
შენი: „ამბობენ, რომ მინამ რუსები
მოვიღონენ აქ, მიხეილ, ოცამდინ არქიელი
იყოო. ამათ თურმე ყველას რამდენ-რამდენ-
იმე ეცქვსთა ემართა და თვითონ ისინი ყო-
ფილან ზღაღარ ნებიცა და არქიელებიცა.“

შუ. პოლტონ იოსელიანი თავის საქართვე-
ლოს ეკლესიის ისტორიაში წერს, რომ
ოდეს 3 ხტანგ მორგასლანმა ქართველთა
ეკლესია განათავისუფლა ანტიოქიის პატრი-
არხის მორჩილებიდან და მიანიჭა თავისუფა-
ლი თვითმართებლობა და საკუთარი დაუ-
მოკლებელი კათალიკოზი, მაშინ გახსნა და
დააწესა 19 საეპისკოპოზო ეპარხია. ამის შემ-
დეგ ეს ეპარხიები აღარ გაერცვლებულან;
იქნება შემდეგში ესინი გაერცვლებდნენ; მაგ-
რამ ამაზე უფ. პოლტონ იოსელიანი მაინც
და მაინც აღარას მოგვითხრობს. აი ამ
მცირედი ცნობების მეტი ამ საგანზე ჩვენ არა
ვიცით რა. მაგრამ უფ. მიხეილის არ ვიცით
რომელ საფუძლიან წყაროებიდან ჰკრებს
იმ ცნობებს, რომ ვითომც მიხეილ, ვიდრე
რუსები მოვიდნენ და გამართდნენ კან-
ტარას და ეგზარხოსის კანცელარიას, ოცამ-
დე არქიელი იყოო. ეს აზრი ახალია და
თავის სიახლით მე აღმიძრავს სურვილს
მის შეტყობისას. ჩვენთვის ძალიან სასიამო-
ნო და სასურველი იქნებოდა, რომ უფ.
მიხეილს ჩვენთვის ის აეხსნა, თუ რა საფუ-
ძელზე ფიქრობს ის, რომ მიხეილ მართლაც
მის მეტე მოხსენებული რიცხვი ეპისკოპოზო-
ბისა ყოფილა; აგვისანს აგრეთვე ისიც; თუ
ვინ უამბო ამას ეს ფაქტი, და შეიძლება თუ
არა, დაერწმუნოს კაცი იმ პირთა, რომელ-
თაც იმას უთხრა. მე ჩემის მხრით მხოლოდ
იმას ვიტყვი, რომ ქრისტიანობის პირველ
საუკუნოებში თითქმის ყოველს ცოტა მოხ-
დის საფუძის ყვედა საკუთარი ეპისკოპო-
ზი, რომელიც უფლია და აღსრულებდა
მღვდლის სულიერსა საქროებას. 1861 წლის
სასულიერო ჟურნალის სახელად „Христиан-
ское учение“ ოქტომბრის თვის წიგნში ამ
პისკოპოზების ყოფილობაზე თითქმის ყოველს
სოფელში უფ. სოკოლოვი ამ გვარათ ამბობს:
„იყო დრო, როდესაც თვით მცირე დაბებს
და სოფლებსაც კი თვისი საკუთარი ეპისკო-
პოზები ჰყოლიათ (501 გვერდი). ამათ თურმე
ებართ საეკლესიო სურსათი და ულუფი,
რომელიც ქრისტიანობის პირველ საუკუნეში
ქრისტიანებს საერთო ქანდთ და ერთად სჯამ-
დნენ სადიო-ფანშას.“

ჩნგილო ჯანაშვილი.

განცხადება

შოთი — თვილისის
რაინის გაზ

შოთილამ პირილამდე, 118 პირი,
(მასნილია ამ წლის 21 აგვისტოდამ)

რკინის გზის გაშვებებს პატივი აქვთ
ცნობოზნ საზოგადოებას, რომ შოთი-
ლამ მეროლის სტანციაში სრულიად გა-
მართულია გზა და მიიღებენ როგორც
პასაჟერებს, აგრეთვე ყოველგვარ საქო-
ნელსა და ნივთებს. პოვნილი გვარია:
ერთი ნელა დაიარება და მეორე მსწრა-
ულად. მასაც მის თაობაზე დაწერილი-
ებითი ცნობების შეტყობა მსურს, ესთ-
ხოვთ მიმართონ: თვილისში — გამ-
გებლების კანტორაში, და შოთს — ექს-
პლოატაციის უფროსთან.